



## არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებელი

უმადლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურები  
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები



## I. შესავალი

მსოფლიო გლობალიზაციამ, კლიმატურმა ცვლილებებმა, ურბანულმა და სოციალურმა ტრანსფორმაციებმა არქიტექტურული სწავლება და დასაქმება მსოფლიოში ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაშიც შეიქმნა სავალდებულო წინაპირობა, შემუშავდეს საერთაშორისო მოთხოვნებთან თავსებადი ეროვნული სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას; არქიტექტურული ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით აღჭურვილი პირების მომზადებას; დასაქმების შიდა და საგარეო ბაზარზე მათ კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 17.09.2019 წლის N841/ი ბრძანებით შეიქმნა არქიტექტურის მიმართულების დარგობრივი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით მოამზადა უმაღლესი არქიტექტურული განათლების დარგობრივი სტანდარტი - არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებელი<sup>1</sup>, რომლითაც არქიტექტურის სფეროს უმაღლესი განათლების I და II საფეხურის პროგრამებისთვის განისაზღვრა კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები.

არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებელი მიზანად ისახავს ისეთი კვალიფიკაციის პროფესიონალების აღზრდის ხელშეწყობას, რომლებსაც თანამედროვე გამოწვევების ფონზე ნათლად აქვთ გააზრებული არქიტექტურისა და არქიტექტორის როლი საზოგადოებაში; ღრმად აცნობიერებენ პროფესიულ პასუხისმგებლობებსა და პრაქტიკული საქმიანობისას განსაკუთრებულ ძალისხმევას მიმართავენ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ადამიანთა ცხოვრება-არსებობისათვის საჭირო, ღირსეული გარემოს უზრუნველსაყოფად.

წინამდებარე არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებელი ხელს უწყობს თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და შესაბამისად, არქიტექტურის უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის სწავლის შედეგების კლასიფიცირებას და

---

<sup>1</sup>დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს შუალედურ დოკუმენტს, რომელიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აკავშირებს საგანმანათლებლო პროგრამასთან. ის აღწერს იმ მინიმალურ სწავლის შედეგებს, რომლებიც უნდა ჰქონდეს შესაბამისი დონისა და სწავლის სფეროს/დარგის კვალიფიკაციის მფლობელს, თუმცა არ ამოწურავს ამ სფეროსთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს. ამასთან, დარგობრივი მახასიათებლის მიზანია, საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნებისა და მოქნილობის უზრუნველყოფა. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებას შეუძლია, დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების საფუძველზე მოახდინოს დარგობრივ მახასიათებელში აღნიშნული სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურითა (არა სამ კატეგორიად გაყოფილი) და ფორმულირებით ჩამოყალიბება.



კომპეტენციების იმდაგვარად ჩამოყალიბებას, რომლის დროსაც კვალიფიკაციის მფლობელი უზრუნველყოფილია მობილობის წახალისების, შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების, პროფესიაში შესვლისა და შრომის ბაზარზე დასაქმების, შემდგომ პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის შესაძლებლობით.

არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს არქიტექტურის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე სწავლის დასრულების შემდეგ - ცოდნის, გაცნობიერების, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით იმ მინიმალურ სწავლის შედეგებსა და სტანდარტს, რომლის დაცვა სავალდებულოა არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების დეტალური შინაარსი და მისი განხორციელების გზები თითოეული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განისაზღვრება ავტონომიურად.

არქიტექტურის დარგობრივ მახასიათებელში განსაზღვრულია არქიტექტურის სწავლის სფერო, არქიტექტურის ბაკალავრისა და არქიტექტურის მაგისტრის ხარისხის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები, სხვა დამატებითი ინფორმაცია.

არქიტექტურის დარგობრივ მახასიათებელში აღწერილია კვალიფიკაციის მფლობელის კომპეტენციები - ცოდნა, გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რომელიც აკადემიური საზოგადოებისათვის ქმნის სწავლების პროცესის მყარ ფუნდამენტს. ის არის მნიშვნელოვანი წყარო არა მარტო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისათვის, ასევე დამსაქმებლებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, რომელსაც სურს მიიღოს ინფორმაცია არქიტექტურის ბაკალავრის, მაგისტრის სწავლის შედეგების შესახებ.

დარგობრივ მახასიათებელთან არქიტექტურის საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს პერიოდულად, მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტებისა და შესაბამისი პროცედურების საფუძველზე.

არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებისას საფუძველად გამოყენებულ იქნა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნები; 2017 წლის UNESCO-UIA-არქიტექტურული განათლების ქარტიის, 2017 წლის UNESCO-UIA იუნესკოს და არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის ვალიდაციის სისტემისა და ევროსაბჭოს 2013 წლის 20 ნოემბრის PQD 2013/55/EU დირექტივების რეკომენდაციები.



დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადაა 7 წელი.

## II. სწავლის სფეროს აღწერა

არქიტექტურა არის სწავლისა და საქმიანობის სფერო, რომელიც ეფუძნება და შემოქმედებითად აერთიანებს სოციალურ, საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ მეცნიერებებს, ხელოვნების დარგებს და მოიცავს ესთეტიკურ ასპექტებს.

არქიტექტურის სწავლის სფეროს მნიშვნელოვანი კომპონენტია თეორიული და პრაქტიკული სწავლება და მათ შორის ბალანსი. სწავლების უმეტესი ნაწილი უნდა მოიცავდეს არქიტექტურულ დაპროექტებას, რომელიც მჭიდროდ გამოიყენებს ინტერდისციპლინურ კავშირებს: ხელოვნებას, ინჟინერიას, ტექნოლოგიას, გარემოს სოციალურ და კულტურულ კონტექსტს, კანონმდებლობას და პროფესიულ ეთიკას, მენეჯმენტისა და კომუნიკაციის მეთოდებს.

არქიტექტურა, როგორც სწავლისა და დასაქმების სფერო, არის გლობალური და შესაბამისად, არქიტექტურული შემოქმედებისთვის აუცილებელი ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა იდენტურია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. არქიტექტურის პროფესიაში შესვლა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეებით განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში, შეუძლია როგორც არქიტექტურის ბაკალავრს, ასევე - არქიტექტურის მაგისტრს, ხოლო დამოუკიდებელი არქიტექტურული საქმიანობის განხორციელებისათვის პირობებს დამატებით განსაზღვრავს აღნიშნული სფეროს ეროვნული მარეგულირებელი კანონმდებლობა.

## III. სწავლის შედეგები

არქიტექტორთა საგანმანათლებლო პროგრამების აუდიტორიული სწავლების ერთიანმა კურსმა უნდა დააბალანსოს თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, უზრუნველყოს სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნების მიღწევა და მომავალი სპეციალისტების მომზადება ისეთი პროფესიული მოღვაწეობისათვის, რომელიც პრაქტიკული უნარების, სამეცნიერო ცოდნისა და მეთოდების სათანადო გამოყენებას მოითხოვს.

დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც სტუდენტს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე (ბაკალავრიატი ან/და მაგისტრატურა) **სწავლის დასრულებისას**.

დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგები განსაზღვრავს **მინიმალურ მოთხოვნებს**. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას შეუძლია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის



თანამედროვე მიღწევების/გამოცდილების, ამ სფეროს განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, დამატებით სხვა შედეგებიც განსაზღვროს.

### 3.1 . არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

#### 3.1.1 ცოდნა და გაცნობიერება

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- ფლობს არქიტექტურის ისტორიის, თეორიისა და მასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების: ხელოვნების, ტექნოლოგიების, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ცოდნას და იაზრებს მათ;
- აცნობიერებს სოციალურ-კულტურულ, ქალაქთმშენებლობით, არქიტექტურულ ფასეულობებს და კონტექსტებს, ასევე, გარემოს დაცვასა და არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობებს;
- აღწერს და კრიტიკულად იაზრებს არქიტექტურული პროექტების/ კონცეფციების ხორცშესხმისთვის აუცილებელ პროცედურებს და პროცესებს, ასევე, დაპროექტების თეორიისა და მეთოდების ზოგიერთ უახლეს ასპექტს;
- იაზრებს შენობა-ნაგებობის სისტემებთან დაკავშირებულ სტრუქტურებს, მასალებს, კონსტრუქციებს, სამშენებლო პროცესებს, ტექნოლოგიებსა და სხვა საინჟინრო საკითხებს;
- გარემოს დაგეგმარების, შენობა-ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესებში აცნობიერებს საზოგადოებრივ მოთხოვნებს, დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს, დარგობრივ სამართლებრივ რეგულაციებს და არქიტექტორთა პროფესიულ ეთიკას, არქიტექტურის პროფესიის როლსა და მნიშვნელობას.





### 3.1.2. უნარი

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- წარმოსახვით და შემოქმედებითი მიდგომით, სამგანზომილებიანი, სივრცითი აზროვნებით აყალიბებს საპროექტო კონცეფციას და წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ფუნქციური, ტექნიკური, ესთეტიკური და პროფესიული ეთიკის მოთხოვნების გათვალისწინებით, ქმნის არქიტექტურულ პროექტს;
- საპროექტო დავალებისთვის შეგროვილი ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით და კვლევის მეთოდების გამოყენებით, წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად ამუშავებს და დოკუმენტურად აფორმებს არქიტექტურულ პროექტს;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად პროექტში, როგორც ერთ მთლიან შემაჯამებელ დოკუმენტში, ერთდროულად ითვალისწინებს და ასახავს კონსტრუქციებს, ტექნოლოგიებს, მასალების ტექნიკურ, ესთეტიკურ და საექსპლუატაციო თვისებებს, ასევე სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ტექნიკურ და უსაფრთხოების სისტემებს;
- არქიტექტურული პროექტის შემუშავების, წარდგენისა და განხილვისას იყენებს ელექტრონულ, გრაფიკულ, მაკეტირების, ვერბალურ, წერით, მულტიმედიურ და სხვა მეთოდებს.

### 3.1.3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- არქიტექტურული დაპროექტების პროცესში, პროფესიული ეთიკის მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით, მუშაობს ინდივიდუალურად ან გუნდში და ამ პროცესში სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით ამყარებს კომუნიკაციას;



- განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.

### 3.2. არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

#### 3.2.1. ცოდნა და გაცნობიერება

არქიტექტურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- ახდენს არქიტექტურის ძირითადი კონცეფციების, თეორიების, მეთოდებისა და უახლესი ტენდენციების/დისკურსის, სტრატეგიებისა და გეგმარების პოლიტიკის ინტერპრეტირებას;
- თანამედროვე მიდგომების საფუძველზე აცნობიერებს არქიტექტურულ პროექტზე ფუნქციურ-ტექნოლოგიური, სივრცული, ტექნიკური, ერგონომიკული, ესთეტიკური, კულტურული ფაქტორების გავლენასა და მდგრადი განვითარების პრინციპებს;
- აცნობიერებს არქიტექტურულ საქმიანობასა და სამშენებლო ინდუსტრიასთან დაკავშირებული ბიზნესის პროცესებს, სამართლებრივ რეგულაციებსა და პროცედურებს;
- საპროექტო დავალებების მომზადებისა და დაპროექტების პროცესში ითვალისწინებს დამკვეთისა და პოტენციური მომხმარებლის კომპლექსურ ინტერესებს, არქიტექტორთა პროფესიულ ეთიკასა და ღრმად აცნობიერებს არქიტექტორის როლს საზოგადოებაში.

#### 3.2.2. უნარი

არქიტექტურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- არქიტექტურის პროფესიის მნიშვნელობის და საზოგადოებაში არქიტექტორის როლის გააზრებით ახორციელებს არქიტექტურულ საქმიანობას;
- მულტიდისციპლინურ და კომპლექსურ გარემოში დაპროექტებისას ფუნქციურ-ტექნოლოგიური, კლიმატური, ჰუმანიტარული, სოციალური, ეკონომიკური, გარემოს დაცვითი, კულტურული ასპექტების და ესთეტიკური მოთხოვნების



გათვალისწინებით, კანონმდებლობისა და პროფესიული ეთიკის დაცვით, დამოუკიდებლად იღებს ადეკვატურ და ორიგინალურ გადაწყვეტილებებს;

- დამოუკიდებლად აყალიბებს საპროექტო დავალებას და უახლესი მეთოდების, მიდგომების გათვალისწინებით, ირჩევს დაპროექტების ოპტიმალურ ხერხებსა და საშუალებებს;
- პროექტში ერთ ფუნქციონირებად მთლიანობად აერთიანებს კონსტრუქციულ, საკომუნიკაციო, საინჟინრო და უსაფრთხოების სისტემებს;
- ირჩევს კვლევის შესაბამის მეთოდებს, იყენებს სისტემურ ანალიზს და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით შეიმუშავებს და იცავს საპროექტო ან/და კვლევით ნაშრომს;
- მართავს არქიტექტურულ პროექტს, აფასებს პროექტის ეკონომიკურ, ფინანსურ და სამართლებრივ გარემოს;
- არქიტექტურული პროექტის შემუშავების, შემოწმებისა და შეფასებისას, ასევე მშენებლობის პროცესში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის, ეფექტიანად იყენებს ვიზუალურ, წერილობით, ზეპირ მეთოდებსა და მედიის შესაძლებლობებს.

### 3.2.3. პასუხისმგებლობა და ავტონომია

არქიტექტურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით შეთანხმებულად მუშაობს მულტიდისციპლინურ გუნდში; უწევს მას კოორდინაციას; იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებსა და მათზე პასუხისმგებლობას;
- სათანადო რესურსების ავტონომიურად მოძიების, ანალიზისა და სინთეზის მეშვეობით, დამოუკიდებლად წარმართავს კვლევით პროცესს.

## IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები უნდა იყოს დოკუმენტირებული, საჯაროდ ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის და აუცილებლად უნდა დაეფუძნოს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს.

სწავლებისა და შეფასების მეთოდები თანხვედრაში უნდა იყოს შესაბამისი





საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად მიზნებთან, სწავლის შედეგებსა და პროგრამის კომპონენტებთან. სწავლებისა და სწავლის მეთოდებმა, შეფასების კრიტერიუმებმა საშუალება უნდა მისცეს სტუდენტს წარმოაჩინოს მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობა არქიტექტურის დარგობრივ მახასიათებლებთან.

სტუდენტთა შეფასება უნდა იყოს მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფდეს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენებით.

სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების ადეკვატურობა, აგრეთვე, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების ოდენობა და ხარისხი, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გზით, ექვემდებარება პერმანენტულ გარე შეფასებას. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტის მიერ საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების რეგულარულად გამოყენების შესაძლებლობას. სტუდენტმა უნდა შეძლოს სწავლაში აქტიურად ჩართვა და რეალისტურ სიტუაციებსა და ვარიანტებზე დაყრდნობით, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

სწავლის, სწავლებისა და შეფასების ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდები ყველაზე გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენს. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემოთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება ითვალისწინებდეს მათგან მხოლოდ ზოგიერთს, ასევე, სხვა მეთოდებს. ყველა შემთხვევაში, არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი სასწავლებლები უნდა ახდენდნენ სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების რეგულარულ გადახედვა-განახლებას.

#### 4.1 . სწავლება-სწავლის მეთოდები

- სტუდიური მუშაობა;
- ლექცია;
- პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სასწავლო პრაქტიკა, სემინარი)
- ელექტრონული სწავლება (ელექტრონული რესურსით სწავლება);
- სხვა.

#### 4.2 . სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები

- დისკუსია/დებატები;
- გამოფენა, დემონსტრირება;
- პრეზენტაცია;
- ჯგუფური (Collaborative) მუშაობა;



- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი;
- შემთხვევების შესწავლა (Case study);
- გონებრივი იერიში (Brain storming);
- სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებს. პროგრამის განმახორციელებელი პირები შესაძლოა იყენებდნენ ზემოთ ჩამოთვლილ ერთ/რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა აქტივობას, კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

#### 4.3. შეფასების მეთოდები

- დემონსტრირება;
- გამოფენა;
- პრეზენტაცია;
- კლაუზურა;
- და სხვა (კანონდებლობით დადგენილი და სწავლის შედეგების შესაბამისად განსაზღვრული ავტონომიურად უსდ-ს მიერ).

## V. დამატებითი ინფორმაცია

### 5.1 . აკადემიური პერსონალი

არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას შესაძლებელია უზრუნველყოფდეს როგორც შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, ასევე, სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

### 5.2. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში აუცილებელია გათვალისწინებული იყოს საპროექტო სტუდიები, რომლებიც თავისი შინაარსით განსხვავებულია ჩვეულებრივი აუდიტორიისაგან და ქმნის სპეციფიკურ, ეფექტიან გარემოს შემოქმედებითი მუშაობისთვის.

უსდ-ში უნდა არსებობდეს: სალექციო აუდიტორიები, საგამოფენო სივრცე, სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურული მაკეტირების სპეციალური სახელოსნოები, კომპიუტერული კლასი, ლაბორატორია, უახლესი სპეციალური ლიტერატურით, მათ შორის - უცხოენოვანი პერიოდული გამოცემებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა და ინტერნეტ



სამეცნიერო ბანკი.

არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია პრაქტიკა, რომელიც როგორც საუკეთესო მოდელი, რეკომენდებულია განხორციელდეს საპროექტო ორგანიზაციებში. უსდ-ს აქვს უფლება, თავად განსაზღვროს პრაქტიკის კონკრეტული ფორმა და მისი განხორციელების ადგილი არსებული რესურსების, ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ხედვისა და კონცეფციის გათვალისწინებით.

### 5.3 მარეგულირებელი კანონმდებლობა:

1. განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი (ISCED-F-2013);  
International Standard Classification of Education. Fields of education and training 2013(ISCED-F 2013) –Detailed field descriptions.  
<http://uis.unesco.org/sites/default/files/documents/international-standard-classification-of-education-fields-of-education-and-training-2013>  
<http://data.europa.eu/eli/dir/2005/36/oj>
2. UNESCO-UIA CHARTER FOR ARCHITECTURAL EDUCATION Revised, 2017 Edition 2017  
Sexennial revision with no modifications of the 2011 Edition.  
<https://www.uia-architectes.org/webApi/uploads/ressourcefile/178/charter2017en.pdf>
3. იუნესკოსა (UNESCO) და არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (UIA) ვალიდაციის სისტემა. პროცედურული სახელმძღვანელო საგანმანათლებლო პროგრამებისა და სისტემებისათვის ( 2017 წლის ივნისი).  
<https://www.sadas-pea.gr/archive/2000-2011/35795%20D.pdf>
4. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2005/36 / EC პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ (2005 წლის 7 სექტემბერი);  
Directive 2005/36/EC of the European Parliament and of the Council of 7 September 2005 on the recognition of professional qualifications

**ქვეყნის კანონმდებლობა და მარეგულირებელი დოკუმენტები არქიტექტურაში:**

5. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, 2018 წლის 20 ივლისი;
6. კანონი არქიტექტურული საქმიანობის შესახებ; 20.12.2019 წლის კონსოლიდირებული ვერსია.



7. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანება №69/ნ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“.

#### 5.4 . მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

- უმაღლესი განათლების I საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემდგომ სტუდენტს ენიჭება არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (Bachelor of Architecture(BArch); ამასთან, მოპოვებული 240 ECTS კრედიტიდან ძირითად სწავლის სფეროზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს არანაკლებ 180 ECTS კრედიტისა;
- უმაღლესი განათლების II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის, არანაკლებ 120 ECTS კრედიტისა, დაძლევის შემდგომ სტუდენტს ენიჭება არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხი (Master of Architecture (MArch)).

#### VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	აბულაძე დავით	საქართველოს არქიტექტორთა კავშირი	კავშირის თავმჯდომარე ჯგუფის ხელმძღვანელი
2.	გიორგაძე გიორგი	აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ჯგუფის წევრი
3.	ვოგლერი ჯესი	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	პროფესორი, ჯგუფის წევრი
4.	კუპატაძე ია	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ჯგუფის წევრი
5.	ლაღიძე ნინო	საქართველოს უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ჯგუფის წევრი



6.	<b>ფარცხალაძე გაიოზ (გიოზ)</b>	ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტი	ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, ჯგუფის წევრი
7.	<b>ქუთათელაძე ნანა</b>	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახ. სამხატვრო აკადემია	ასოცირებული პროფესორი, ჯგუფის წევრი
8.	<b>ჩხეტია გიორგი</b>	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ასისტენტ-პროფესორი, ჯგუფის წევრი
9.	<b>ცუხიშვილი ირინე</b>	საქართველოს პარლამენტი	დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი
10.	<b>წანაწყენიშვილი გიორგი</b>	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ჯგუფის წევრი
11.	<b>ხაბეიშვილი ნინო</b>	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი, ჯგუფის წევრი

არქიტექტურისა და მშენებლობის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს მიერ არქიტექტურის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიღების თარიღი:  
11/05/2020